

რედაქტორის გვერდი

ჩვენი მიზანი

ჩვენს სამედიცინო ჟურნალში მიზანმიმართული, შემოქმედებითი საქმიანობა სარედაქციო კოლეგიისა და რედაქციის თანამშრომელთა მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. სამეცნიერო სტატიების აკადემიური დონე, პრობლემათა მრავალმხრიობა, რეცენზირების ხარისხი, თანამედროვე გაფორმება და ღიზიანი ჟურნალის მკითხველთა მთავარი მოთხოვნაა. ამ მიზნით, ბუნებრივია, წარმართული ჩვენი ყოველი ქმედება საყოველთაო აღიარებას მოუტანს ქართულ სამედიცინო აზროვნებას, მის მეცნიერულ და პრაქტიკულ პოტენციალს.

რედაქციის თანამშრომელთა ერთ-ერთ საკვანძო ამოცანას წარმოადგენს პერმანენტული კონტაქტები სამედიცინო დაწესებულებებთან, შემოქმედებითი თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნის მეცნიერ-მედიკოსებთან, პრაქტიკოს ექიმებთან, სამედიცინო დარგში მიმდინარე სიახლეების პოპულარიზაციასთან, მენეჯმენტურ დაგეგმარებასთან, მოსახლეობაში პროფილაქტიკური მიმართულების დანერგვასთან, სადაზღვევო მედიცინის განვითარებასთან, ეკოლოგიურ პრობლემათა მოგვარებასთან და სხვა.

პრობლემატურია, აგრეთვე, სამედიცინო კადრების მომზადების, დახელოვნების, უწყვეტი სამედიცინო განათლების სფეროში ოპტიმალური პოლიტიკის შემუშავება. ყოველივე აღნიშნული ჯანდაცვის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რადგან იგი შესაძლებლობას მოგვცემს მიზანმიმართულად გამოვიყენოთ ჩვენში არსებული რესურსების მძლავრი პოტენციალი.

სახელმწიფო პოლიტიკის მუდმივი ზრუნვის საგანია სამედიცინო პერსონალის პროფესიული დონის პერმანენტული სრულყოფა, სამედიცინო დაწესებულებათა სათანადო ლიცენზირება, მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სამედიცინო დახმარებაზე, მაღალი ტექნოლოგიების ათვისება, ქსელში დანერგვა და სხვა.

თავის მხრივ ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა აქტიურად უნდა არეგულირებდეს სამედიცინო სფეროში არსებულ მოთხოვნებს და ამ მიმართულებით საქმიანობის სტანდარტებს, რაც სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიული ამოცანაა.

სამედიცინო დახმარების ეფექტურად წარმართვის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება პროფილაქტიკურ და სამკურნალო ქსელში, სასწავლო, სამეცნიერო დაწესებულებებში, რაც საშუალებას მოგვცემს საზოგადოებამ მუდმივი თვალყური ადევნოს ჩვენი ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებაში ავადმყოფთა მკურნალობის, პროფილაქტიკის, რეაბილიტაციის, სამედიცინო კადრების პროფესიული მომზადების, სიახლეთა დანერგვის იმ მუდმივ პროცესებს, რომელიც თანამედროვე მედიცინისადმი სადღეისო მოთხოვნას წარმოადგენს.

სამედიცინო დარგში არსებული პრობლემატურობის ობიექტურად ასახვა და მისი შემდგომი სრულყოფა ჟურნალის მთავარი და პრესტიჟული ამოცანაა. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ მისი პირნათლად შესრულებისათვის, რადგან მიგვაჩნია, რომ სამედიცინო ჟურნალი მარტოოდენ მეცნიერული შრომების პუბლიკაციებით არ უნდა იფარგლებოდეს. იგი ჩვენი საზოგადოების, ერის ყოველდღიური ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს და თავისი დამოკიდებულება გამოხატოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი. ეს არის ჩვენი მიზანი და დროის მოთხოვნაც.